აღდგომის დღეს მზე მოუახლოვდება ქმნილებებს იმდენად, რომ მათგან მხოლოდ მილის მანძილზე იქნება

გადმოცემულია ალ-მიყდაად იბნ ალ-ასვადისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «აღდგომის დღეს მზე მოუახლოვდება ქმნილებებს იმდენად, რომ მათგან მხოლოდ მილის მანძილზე იქნება», სულაიმ იბნ 'აამირმა თქვა: ვფიცავ ალლაჰს, არ ვიცი, „მილი“ მანძილს გულისხმობს თუ იმ პატარა ჯოხს, რომლითაც თვალს ღებავენ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იმ დღეს ადამიანები თავიანთი საქმეების შესაბამისად ოფლში იქნებიან ჩაფლულნი. ზოგი მხოლოდ კოჭებამდე იქნება, ზოგი მუხლებამდე, ზოგი წელამდე, ხოლო ზოგი ისე ჩაეფლობა ოფლში, თითქოს პირი მთლიანად აევსობა», ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხელით ანიშნა მისი პირისკენ.

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) გვამცნო, რომ აღდგომის დღეს მზე ქმნილებებს მოუახლოვდება და ისე დაუახლოვდება, რომ მათი თავებიდან მხოლოდ მილის მანძილზე იქნება. თაბი'ინმა სულაიმ იბნ ამირმა თქვა: ვალლაჰი, არ ვიცი, რომელ „მილს“ გულისხმობდა – მიწის მანძილს თუ იმ მილს, რომლითაც თვალს ღებავენ. მან თქვა: მაშინ ადამიანები თავიანთი საქმეების შესაბამისად ოფლში იქნებიან ჩაფლულნი; ზოგი მხოლოდ კოჭებამდე იქნება, ზოგი – მუხლებამდე, ზოგი – წელამდე და სარტყლის დონემდე, ხოლო ზოგს ოფლი პირთან მიაღწევს და მას ლაპარაკს შეუშლის ხელს. მან თქვა: ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხელით პირზე მიუთითა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4289